N 165 12/06/2019

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 7

დ. ჩოხატაური **31 მაისი, 2019 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, შალვა ჩანტლაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: კლოდი მდინარაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მაია გიორგაძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

მერაბ ბერძენიშვილი- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის უფროსი სპეციალისტი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

მარიკა შოშაშვილი- ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭაჭიეთში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.09.27.072) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.15.24.053) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების სამუზეუმო ფონდისა და მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების (,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, მაია კუტუბიძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

2. ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭაჭიეთში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.09.27.072) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.15.24.053) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

4. ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების,

მუზეუმების სამუზეუმო ფონდისა და მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა შოშაშვილი

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების (,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსაკრებელის შესახებ კანონის მე- 12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიულ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე 1 კუბურ მეტრ ნარჩენზე 25 ლარს. მაინტერესებს, 1 კუბურ მეტრში იურიდიული პირები მუნიციპალიტეტში რა რაოდენობის თანხას იხდიან?

თეა უჯმაჯურიძე- დღეს მოქმედი დადგენილება ითვალისწინებდა იურიდიულ პირებზე კვადრატული მეტრობის მიხედვით უნდა გადაეხადათ მოსაკრებელი, ბახმაროში კი იყო კუბურ მეტრობაზე. სწორი და სამართლიანი არის, ყველამ გადაიხადოს მოსაკრებელის გადასახადი იმის მიხედვით, რა ნარჩენიც დააგროვა მან, მაგრამ რადგან ფიზიკურად შეუძლებელია ამის გამოთვლა, შესაბამისად, დავაწესეთ კვადრატული მეტრობის მიხედვით გადახდა. ეს ინფორმაცია აქვს ა(ა)ი.პ. კომუნალურ სამსახურ ,,სხივს".

ირაკლი ახობაძე- მივიღე ინფორმაცია ა(ა)ი.პ. კომუნალურ სამსახურ ,,სხივიდან", რომ დაბის ტერიტორიაზე 1 კუბურ ნარჩენზე ხარჯავს 21 ლარს, ხოლო ბახმაროზე გამოდის 31 ლარი. საკითხი არ არის შესწავლილი ბოლომდე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

II საკითხი: ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ტყეშელიაძემ, ირაკლი ახობაძემ,

მაია კუტუბიძემ, რომელმაც იკითხა: ის შენობები, სადაც ამბულატორიებია და რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, თუ ხდება მოლაპარაკებები, რომ გადმოცემული იქნას მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

მერაბ ბერძენიშვილი- ეტაპობრივად მიმდინარეობს გადმოცემა. დღეისთვის, ჩვენს ბალანსზე მხოლოდ 8 ამბულატორიაა და ამიტომ მოხდა მხოლოდ ამათი რეაბილიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

III საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭაჭიეთში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.09.27.072) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.15.24.053) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭაჭიეთში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.09.27.072) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.15.24.053) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა, დავით ტყეშელიაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭაჭიეთში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.09.27.072) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კოხნარში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.15.24.053) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

IV საკითხი: ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების სამუზეუმო ფონდისა და მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მოისმინეს:

ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების სამუზეუმო ფონდისა და მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა შოშაშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ტყეშელიაძემ, ლია ჩიგოგიძემ,

ზვიადი მამალაძემ პროექტის ავტორს მიმართა კითხვით, სმენია თუ არა ,,ერისკაცობის" დღესასწაულის და აქვს თუ არა ინფორმაცია ამ ტრადიციის არსებობის შესახებ. არის თუ არა შესაძლებელი ისევ აღდგეს ეს ტრადიცია.

გთხოვთ, რომ იმუშაოთ ამ საკითხზე.

გოჩა გათაშვილმა უპასუხა, რომ ,,ერისკაცობას" ტრადიციას ვერ დავარქმევთ, რადგან სულ რაღაც 2-ჯერ იქნა ჩატარებული ეს დღესასწაული მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების სამუზეუმო ფონდისა და მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების (,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და

ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების („ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების („ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და

ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

VI საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში, სიტყვა ,,ლტოლვილი“ შეიცვალა ,,დევნილით“.

გთხოვთ, რომ გაასწოროთ წარმოდგენილ ბიუჯეტში და მუხლებში აღნიშნული.

ვეთანხმები იმას, რომ ვამცირებთ შემოსავლებს. 150,0 ათასი ლარით შემცირდა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი იმიტომ, რომ პირველ კვარტალში 400,0 ათასი ლარის გარღვევაა ამ მუხლში. რომ არ ჩაგვივარდეს პროგრამები, ეს შემცირება არ უნდა მოხდეს არაფინანსური აქტივების შემცირების ხარჯზე.

პირველი კვარტლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 500, 0 ათასი ლარი შემოვიდა სპეც. თანხიდან. ეს არის დახმარების თანხა. საბიუჯეტო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად კი ყველა შემოსულობები ასახული უნდა იყოს ბიუჯეტში.

მაია გოგოლაძე- 2019 წლის 20 თებერვლის განკარგულების საფუძველზე, ეს არის დროებითი ფინანსური დახმარება, რომელიც დაბრუნდება 1 აგვისტოსთვის. შემდეგ, იგივე განკარგულებაში შევიდა ცვლილება, იმიტომ რომ იგივე საფრთხის წინაშე

დავდექით მეორე კვარტალშიც. ამიტომ, არ არის ვადა მითითებული და ამით ბიუჯეტს ვერ გავზრდით.

ირაკლი ახობაძე- იზრდება ხელფასები, რასაც უნდა ახლდეს ფინანსთა მინისტრის წერილობითი თანხმობა. თუ თანხმობა არ იქნება, სახელფასო ფონდს ვერ გავზრდით და ეს საკითხი წინააღმდეგობაშია ბიუჯეტთან.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 1

(ი.ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

VII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოჩა ჯიქიამ,

ირაკლი ახობაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილებას ვამტკიცებთ ახლა. საახალწლო ღონისძიებაზე დავხარჯეთ 4, 800 ლარი. ახლა შევიდა ცვლილება ბიუჯეტში. თანხა იყო ნული გათვალისწინებული და როგორ დაიხარჯა?

მაია გოგოლაძე- ეს მოხდა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. საკრებულოს მიღებული აქვს განკარგულება, რომ პროგრამიდან ქვეპროგრამას შორის მერს შეუძლია მისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე დახარჯოს თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

სხდომის დღის წესრიგით განხილული საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ მაია კუტუბიძემ:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა, 2018 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის დროს აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დაფუძნებული შპს-ების შემოწმება განხორციელდა 2018 წლის მდგომარეობით. სიტყვიერად ითქვა, რომ შემოწმების შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები და მიმდინარეობს მუშაობა შესაძლო დარღვევების აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშშიც, ჩვენდა გასაკვირად, მხოლოდ ისაა აღნიშნული,რომ ამ შპს-ებიდან დივიდენდი არაა ჩარიცხული ბიუჯეტში. ჩვენს მიერ შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე ვერ იქნა მოძიებული ტენდერში, ან პირდაპირი ხელშეკრულებით მუშაობის ფაქტი შპს „ავტოსერვისცენტრი“-ს მონაწილეობით 2018 წლის იანვრის თვის შემდეგ.

გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ მერიის წინაშე, რათა მოგვაწოდოს დეტალური ინფორმაცია ამ საზოგადოებების ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე მიზეზი, რატომ არ იღებს მონაწილეობას შპს „სერვისცენტრი“ გამოცხადებულ ტენდერებში. რატომ ვერ მიიღო მუნიციპალიტეტმა შესამჩნევი სარგებელი და სიკეთე ამ საზოგადოებების მუშაობის შედეგად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა